პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 15 ივნისი № 139 (16879) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხარისხის გარანტია

ახალგაზრდა ამწყობ ზეინკალს მერაბ ნათენაძეს დიდი პატივისცემა აქვს მოპოვებული თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში მოკრძალებული, თავისი საქმის მოუვარული მუშაკი თავდადებული შრომის მაგალითს უჩვენებს. მის ნახელავ პროდუქციას პირადი დამღა აქვს — ეს საუკეთესო ხარისხის გარანტიაა. ცვლის დავალებებს მ. ნათენაძე 120-130 პროცენტით ასრულებს. ყოველივე ამას მან საწარმოში მუშაობის შვიდი წლის მანძილზე მიაღწია.

კომკავშირელი მერაბ ნათენაძე ქარხანაში ერთ-ერთი პირველი ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ცდილობს ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. მან ვალდებულება იკისრა ხუთწლედის ორი წლის დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულოს.

მერაბ ნათენაძეს უკვე თავისი მოწაფეებიც ჰყავს. იგი სიამოვნებით აოსტატებს ახალგაზრდებს.

სურათზე: თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მოწინავე ამწყობი ზეინკალი კომკავშირელი მერაბ ნათენაძე.

ვ. მირზეშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები კარზეა!

მთელი ჩვენი ქვეყანა, თითოეული საბჭოთა ადამიანი უდიდესი პოლიტიკური მოვლენების შთაბეჭდილებებით ცხოვრობს და მოღვაწეობს. ყველგან, მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ყველა კუთხეში, სამრეწველო საწარმოებში და შენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და დაწესებულებებში, შრომითს კოლექტივებში ნაძღვილი სოციალისტური დემოკრატიის მტკიცედ დაცვის ვითარებაში მიმდინარეობს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული მოხსენების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა, იმ უდიდესი პოლიტიკური და იდეურ-თეორიული დოკუმენტების აღქმა და გაანალიზება, რომლებიც ჩვენი ცხოვრების წინსვლის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების, ერთა ძმობისა და მეგობრობის გაძლიერების ჭეშმარიტ საფუძველს წარმოადგენენ.

უდიდესია ის ამოცანები, რომლებიც ახლა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის სწორი, ნათელი გზა მოცემულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმის დოკუმენტებში, რომლებიც გუშინ პრესაში გამოქვეყნდა.

ამ საერთო-სახალხო აღმავლობის, კარგი გუნება-განწყობის და ჯანსაღ პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. დადგა ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის გადამწყვეტი მომენტი — დასასრულს უახლოვდება დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრები, აგიტაცია მათ სასარგებლოდ, ყველა იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ სამუშაოთა საბოლოოდ მოგვარება და წესიგზა მოყვანა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყონ არჩევნების წარმატებით ჩატარებას, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების სრულ განხორციელებას.

შრომითს კოლექტივებში, სამრეწველო და სასოფლო საწარმოებში, დაწესებულებებში გამართულ წინასაარჩევნო კრებებზე, სადაც დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრები ეწყობა, ჩვენი ადამიანები უფიქრია გულთადმინო, პოლიტიკური შეგნებით, სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულითა და პატივისცემით გამოთქვამენ ნდობასა და რწმენას საბჭოებში თავიანთი წარგზავნილებისადმი, კისრულობენ გადალიდოულ ვალდებულებებს, რათა ამ საიუბილეო წელს ღირსეულად შეხვდნენ არჩევნებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის წარმატებით განხილვაში, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმაში.

წინასაარჩევნო კრებებზე, საარჩევნო უბნებში გამარჯვულ საუბრებში მშრომელები მტკიცედ უჭერენ მხარს და ერთხმად იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ მიმართულ კურსს, ჩვენს რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს.

ამასთ შორის, ვინც არჩევნების აღსანიშნავ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ავანგარდშია, არიან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები. მათ შორის არის თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ზ. ხურგულაძე, თბილისის ტყავსაგალანტერეო ფაბრიკის მოწინავე მუშა თ. ყველაშვილი, საგურამოს ორაგულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ვ. თარიმანიშვილი, ხელვაჩაურის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე ც. ბოლქვაძე, ქუთაისის ამრეზუმის საწარმოო გაერთიანების მჭედელი მ. მუშლაძე, სოღლიოს სამკერვალო ფაბრიკის მკერავი თ. ნატროშვილი და ხალხის ხუთი დეპუტატი, რომლებიც თავდადებული შრომით, დაუცხრომელი საზოგადოებრივი საქმიანობით ცდილობენ გაამართლონ ამომრჩეველთა ნდობა.

ბევრია ახლა ჩვენში ისეთი საარჩევნო უბანი და აგიტპუნქტი, რომელიც უნარიანად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ასეთია, მაგალითად, ქალაქ ჭიათურის, თბილისის ლენინის, თელთიჭყაროს, ღუშეთის და სხვა რაიონებში შექმნილი ბევრი აგიტპუნქტი და საარჩევნო უბანი. მაგრამ ამასთან შემოწმებით დადგინდა, რომ ზოგან აგიტპუნქტების მუშაობა არ შეეხამება თანამედროვე მოთხოვნებს. სუსტად მუშაობენ გარდაბნის რაიონის კულტურის სახლის ბიბლიოთეკაში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ საქობოში, ფოთის ქეჩის ფაბრიკაში, საჩხერის მესამე საშუალო აკადემიაში, თიანეთის რაიონის ახალსოფელსა და ხევსურთხოფელში, ადიგენის რაიონის სოფელ ენთელში შექმნილი აგიტპუნქტები. მათ შემოწმების დროს არ ჰქონდათ საშუშო გეგმები, საჭირო ლიტერატურა და ფოსტალიტერატურა.

საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ოთხიოდე დღე ჩრდ არჩევნებამდე — 19 ივნისამდე. პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოების აღმასკომებმა, საარჩევნო კომისიებმა დარჩენილ დღეებში მთელი გულისყური უნდა მიაპყრონ დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრების ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებას, საგიტაციო მუშაობის მკვეთრ გაძლიერებას, ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუშაოს ისე მოგვარებასა და გადაწყვეტას, რომ 19 ივნისს ყოველმხრივ მომზადებული შეეხვედეთ. ამ საქმის წარმატების მთავარი და გადამწყვეტი პირობა ის არის, რომ განუხრელად შეასრულოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც ამას წინათ იქნა მიღებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა ღრმად გავაანალიზოთ, განვაზოგადოთ წინადადებანი, რეკომენდაციები და კონკრეტული შეხვედრები, რომლებსაც მშრომელები გამოთქვამენ წინასაარჩევნო კრებებსა და შეხვედრებზე, აგიტპუნქტებში, ხალხის კანდიდატთა განაწესებში. განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება საარჩევნო უბნების ფუნქციონირებას. შენობებში, სადაც გაიმართება არჩევნები, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა პირობა ფარული კენჭისყრისათვის. მზადების დამამთავრებელ ეტაპზე კონტროლის გაძლიერება და ერთხელ კიდევ შემოწმება პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების აღმასკომების გადაუდებელი ამოცანაა.

ფიქრი და ზრუნვა სჭირდება საარჩევნო კომისიების სწორი შეადგენლობის ორგანიზაციას არჩევნების დღეს. ზუსტად უნდა განსაზღვროთ მოვალეობანი მათს წევრებს შორის, არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი მომენტი, მცირედი დეტალიც კი. უთუოდ სწორად მოიქცნენ იქ, სადაც წინასწარ გამოარკვიეს, თუ რომელი ამომრჩეველი ვერ შეძლებს უბანში მისვლას.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაიწყო ხაზოფხული შვებულების მასობრივი სეზონი, ბევრი მიემგზავრება დასასვენებელ სანატორიუმებში, ტურისტულ ლაშქრობებში. ყველამ, ვინც კი ტოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დროულად უნდა მიიღოს ხმის მიცემის უფლების მოწმობა. 19 ივნისს ათასობით ადამიანი გზაში იქნება. ამიტომ სატრანსპორტო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მატარებლებში, აეროპორტებში და სხვა ადგილებში ხმის მიცემამ მწყობრად და ორგანიზებულად ჩაიაროს.

სერიოზულად უნდა ვიზრუნოთ ქალაქებსა და ხოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ვაჭრობის, კვების ობიექტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის. არჩევნების დღეს უნდა მოეწყოს საპალხო ხეირნობები, ხალხობანა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა გამოსვლები...

დიდი და მნიშვნელოვანია ამოცანები, რომლებსაც პარტია ადგილობრივ საბჭოებს უსახავს და იგი დღენიადაგ ზრუნავს მათი როლის ამაღლებისათვის, საბჭოთა დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

19 ივნისს საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შვილები, მივლენ საარჩევნო ყუთებთან, რათა ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოებას ბლოკის კანდიდატებს. ეს ერთსულოვანი ხმის მიცემა იმის ახალი, მკაფიო დადასტურება იქნება, რომ მთელი ხალხი იწონებს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც თავდადებით იბრძოლონ პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის.

საიუბილეო ვაჩარი

შეჯიბრების დღიური

ზეგეგმითი ჩარხები

თბილისი. საოქტომბრო შეჯიბრების ავანგარდშია ჩარხსაშენებელი გაერთიანების მეთაური საწარმოს კოლექტივი. ამ დღეებში, როცა განიხილავენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, საწარმოში შეაჯამეს წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები და გამარჯვებულად ცნეს № 3 საამწყობო საამქროს კოლექტივი, რომელმაც პირნათლად შეასრულა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება და მკვეთრად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ამწყობებმა იკისრეს ცვლის დავალებები ორმაგი გადაჭარბებით შეასრულონ და წლიულს 60 ზეგეგმითი ჩარხი გაუგზავნონ მომხმარებლებს.

ვალდებულებას არ დასჯერდნენ

თბილისი. ნახევარი წლის ნაკისრი გალდებულება გადაჭარბებით შეასრულა № 1 ავტოსარმონტო ქარხნის კოლექტივმა, გამოუშვა 100 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი, ვიდრე ექვსი თვის ვალდებულება ითვალისწინებდა.

ავტომშმკეთებლები გულდასმით ეცნობიან სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს და წარმოების ყველა რგოლში, ყველა უბანზე ზრდიან პირად პასუხისმგებლობას, მტკიცედ იცავენ საწარმოო დისციპლინას. ივნისის განვლილ პერიოდში საწარმოში მინიმუმამდე შემცირდა მოცდენები, საწარმოო დისციპლინის დარღვევები. ავტომშმკეთებლებს ნაკისრი აქვთ ნახევარი წლის დავალება ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულონ.

რ. ჭელიძე.

რეწვის ახალი მეთოდით

ფოთი. ყველა მაჩვენებლით გაანალდა ხუთი თვის დავალება ფოთის საკვებიანი თევზქარის საამქროს ოთხეულ მეგბადურებს. ფოთელ მეგბადურებს განზრახული აქვთ განამტკიცონ წარმატება და მიღწეული გამომუშავების ნორმად აქცევნონ. ამ მიზნით მათ გამოძებნეს და ათვალიერეს ყველა რეზერვი. თუ ადრე მეგბადურები თითქმის ერთ თვეს უნდებოდნენ რეწვის რაიონებში გადასვლას, ახლა მათ შეიცავალეს რეწვის მეთოდი, რამაც საშუალება მისცა ორჯერ შეეგროვებინათ გემები ადგილამდე მისვლის დრო.

საამქროში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება იქნეს თვის დავალების დროულად შესრულებისათვის. საჯარიოობის უზრუნველყოფა, შედეგების შესადარებლად, მოწინავე გამოცდილების გავრცელება საამქროს კოლექტივს წარმატებათა მიღწევაში ეხმარება. მაღალი შრომითი მაჩვენებლები აქვთ მოპოვებული ტრალერების „მცხეთის“, „საქართველოს“ და თევზის გადასამუშავებელი საამქროს კოლექტივებს.

(საქინფორმი).

ჩვენი მუშური გარანტია

ჩვენს გაერთიანებაში კომკავშირელთა შორის ფართოდ გაიმართა შეჯიბრება „კომკავშირული გარანტიის“ მანდატის მოპოვებისათვის. ეს საპატიო ჯილდო იმთ მიეკუთვნებათ, ვინც სისტემატურად იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

გაერთიანებაში ამ მანდატის ერთ-ერთი პირველი მფლობელი მე გახლავართ, ამიტომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვზრუნავ, ცვლის დავალებებს 30-40 პროცენტის გადაჭარბებით ვასრულებდ.

ჩვენი შრომის დევიზია: ვიყოთ მოწინავენი — ხუთწლედს მივცეთ მუშური გარანტია, რომ დაკისრებულ მოვალეობას მხოლოდ სანიმუშოდ შეეასრულებთ.

გ. კავთიაშვილი,
სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მუშა, საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

საბჭოთა მთავრობის მოწვევით

13 ივნისს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი.

აეროდრომზე ჰ.-დ. გენშერს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი.

იმავე დღეს დაიწყო მოლაპარაკება ა. ა. გრომიკოსა და ჰ.-დ. გენშერს შორის.

საქმიან და გულახდილ ვითარებაში გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის შემდგომში განვითარების საკითხებზე. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა მოსკოვის ხელშეკრულების დიდი მნიშვნელობა, განაცხადეს, რომ ისწრაფვიან გააღრმავონ თანამშრომლობა ყველა დარგში ამ ხელშეკრულების ბაზაზე.

მხარეებმა განიხილეს აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სრულიად ევროპის თანამშრომლობა-უსაფრთხოების საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილე ბელგრადის საგარეო საქმეთა მინისტრების ბელგრადის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჰ.-დ. გენშერმა გვირგვინი შეამკო კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავი. (საკ.).

ლ. ი. ბრეჟნევი და ა. ა. გრომიკო ესაუბრნენ ჰ. დ. გენშერს

14 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილე, ფედერალური საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტითაა.

ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. გრომიკოსა და ჰ.-დ. გენშერს შორის გაიმართა საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათის საუბარი. საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის აწლანდელი მდგომარეობისა და მასი შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების პერსპექტივებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო საკითხზე.

აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის განუხრელ გაფართოებას მოსკოვის შეთანხმების ბაზაზე, ურთიერთგაგებისა და ნდობის მუდმივ ზრდას ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უცვლელია საბჭოთა კავშირის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას, მისთვის სტაბილურობა, შეუქცევადი ხასიათის მინიჭებას. ამ მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და გაჩიარაღების, ატომური ომის საშიშროების შემცირების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებამ. ჯერ კიდევ ყველა მთავრობა როდი მოქმედებს ამ მიმართულებით.

ჰ.-დ. გენშერმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ესწრაფვის ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცებას ხელშეკრულებისა და შეთანხმებების დადებას, აგრეთვე უმაღლესი დონის კონტაქტების დროს მიღწეულ მორიგებათა საფუძველზე. მან ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი უნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იქნება ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში.

„პრავდის“ ფურცლებზე

14 ივნისი

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების ამ ღირსშესანიშნავ დღეებში საბჭოთა ადამიანები დიდი ენთუზიაზმით, საქმიანად განიხილავენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს. მატნეგებზე, კრებებზე, საუბრებში მშრომელები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ჩვენი ახალი ძირითადი კანონის პროექტს. სოციალიზმის გრანდიოზული მიღწევები ჩანს ამ დოკუმენტის თითოეული სტრიქონის მიღმა, რომელსაც დიდი ყურადღებით სწავლობს მილიონობით ადამიანი.

ძირითად კანონში პირველად იქნება ჩაწერილი, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც მსოფლიო სოციალისტური სისტემის, სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილი, ავითარებს და განამტკიცებს მეგობრობასა და თანამშრომლობას, ამხანაგურ ურთიერთდახმარებას სოციალისტურ ქვეყნებთან სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკური ინტეგრაციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ინტერნაციონალისტური წრეები და მათი პროფესიონალურად ორგანიზებული ორგანოები, ნაოქმამი „ბუნდოვანი მეთაურები („შვიდობის საიმედო ბურჯი“), კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას შეეხვეწენ უღიერი ცდებით დააკნინონ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა და დაამახინჯონ მისი ჭეშმარიტი აზრი. მაგრამ ასეთი ცდები განწირულია, თბილისელი მისი სტრიქონი თავისთავად მეტყველებს!

საბჭოთა კავშირში, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებში ძირითადი კანონის პროექტის განხილვის მიმდინარეობის შესახებ ყველა კონტინენტის პროგრესული მშვიდობისმოყვარე ადამიანების კომენტარები მოწმობს, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტი გახდება. იგი იქნება ჩვენი ლენინური პარტიის, ჩვენი ხალხის კიდევ ერთი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეში და ამავე დროს იმ ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშრომელნი ეწევიან თავისუფლებისათვის, კაცობრიობის პროგრესისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის.

გაზეთი აქვეყნებს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გრიშინის წერილს — „ლენინური პარტიის გეგმები ხორციელდება“.

მოსკოვი, ოქტომბრის სამშობლოს დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი ქალაქი, — წერს იგორი, — დედაქალაქის პარტორგანიზაციის კომუნისტებს, მოსკოველებს ესმით, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის გეგმების შესრულებისათვის, ცდილობენ მებრძოლურად განახორციელონ მისი პოლიტიკა და გადაწყვეტილებები. ბევრ რამეს გვავალებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „მოსკოველები სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი გაბედული თაოსნობის პიონერები იყვნენ. დღე მოსკოელ კვლავაც გვიჩვენებდეს მკაფიო მაგალითს გმირულ შრომაში, კომუნიზმისათვის ბრძოლაში!

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დედაქალაქის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის დავალებები, ამრავლონ თავიანთი წვლილი კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

„პრავდა“ კვლავ უხვად აქვეყნებს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ინფორმაციას.

ПРАВДА

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების კომისიებში

14 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის, საკანონმდებლო განრიგახულობათა, ბუნების დაცვის და მრეწველობის კომისიათა გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს ხალხის განსჯის მიზნით პრესაში გამოქვეყნებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ანონმდებლობა შეისაბამება სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ტაბიების პროდუქტიულობის გადიდების, მათი გაშენების გაუმჯობესებისა და დაცვის გაძლიერების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების ამოცანებს, ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისა ამოცანებს.

სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, დეპუტატები ი. ვ. კაბანოვი, ი. ა. რიაბოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარენი ა. ა. შიტიკოვი, ვ. ვ. სობენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გორდეევი.

* * *

ამავე დღეს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის კომისიათა გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს ელექტროენერგიის, თბოენერგიისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის საკითხი.

დეპუტატებმა მოიწონეს დეპუტატთა გაერთიანებული მოსამზადებელი კომისიის მასალები ამ საკითხზე. აგრეთვე ამ მასალებში ჩამოყალიბებული დასკვნები და დებულებები სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობისა და სათბობის, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საკითხების შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ მიზანშეწონილია უახლოეს დროში შემუშავდეს კანონპროექტი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობის შესახებ.

სხდომას ხელმძღვანელობდნენ კომისიათა თავმჯდომარეები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დეპუტატი ი. პ. რიაბოვი და დეპუტატი ჯ. ჯ. კაირისი.

(საკ.).

21 ივნისამდე საკვებმოპოვების ერთთვიურია

სათიბები გიხმობთ, საკვებმომპოვებლებო!

ერთთვიურის დამთავრებამდე 6 დღე დარჩა. შეასრულეთ ნაკისრი ვალდებულებები?

ზაფხული თანდათან ძალას იკრებს, ბარში მინდვრებს ოქროს ფერი მოეძალა. ეს იმის ნიშნავს, რომ ბუნებრივი და ნათესი ბალახები თანდათან უფუთიანობას კარგავს, ამით მნიშვნელოვნად უარესდება საკვები ბალანსი.

21 ივნისამდე — საკვებმოპოვების ერთთვიურის დამთავრებამდე 6 დღე დარჩა. ბარის სათიბებში მოსალოდნელია გვალვები. ეს გაუარესებს ბალახის ხარისხს, იმატებს დანაკარგები. დარჩენილი დრო ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ უთუოდ შეეასრულოთ ვალდებულებები. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გუთიბავი არ დაგვრჩეს გზისპირები, ტყისპირები, ყანისპირები.

ქალაქებისა და დაბების მშრომელებო, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებო, ახალგაზრდებო, აქტიური მოპაწილეობა მიიღეთ შაბათობაში, პიონერიყვნის საკვების დაგროვებაში. გახსოვდეთ — მეტი საკვები მეტი მეცხოველეობის პროდუქტებია!

ხოჯალისა და ქალაქის მშრომელებო, სათიბები გიხმობთ? მინდვრად არ დავტოვოთ არცერთი კილოგრამი ბალახი! — ასეთია საკვებმოპოვების ერთთვიურის დევიზი.

ახმეტის სათიბებში

ახმეტა. დიდი ენთუზიაზმით შრომობენ ახმეტის რაიონის სათიბებზე. წლეულს უნდა დამზადონ 24.400 ტონა უხეში საკვები, მათ შორის 14.810 ტონა სენაჟი, 2.025 ტონა თივა, ჩალა და ნამჯა კი — 7.557 ტონა.

უკვე გათიბულია 816 ჰექტარი და დამზადებულია ათასობით ტონა უხეში საკვები. რაიონის მეურნეობებს შორის დაწინაურდა ოქიოს მეკვლახეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. ირეკაძე), სადაც გეგმით გათვალისწინებული 550 ტონის ნაცვლად უკვე ჩაფენილია 590 ტონა სენაჟი.

წელსაც ტოლს ვერავინ უდებს ოქიოელ მოწინავე მექანიზატორს ხვოისო გავარდაშვილს. მარშან საკვებმოპოვებაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის მან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო დიპლომი დაიმსახურა. ახლაც მის პირად ანგარიშზე გვმის გადაჭარბებით მოთიბული ათობით ტონა მწვანე მასაა.

ალაევრდულზე, სადაც ოქიოელები მრავალწლეულ ბალახებს თიბავენ, ჯერჯერობით მწვანე მასა 82 ჰექტარზეა აღებული. გასათიბი დარჩა 10 ჰექტარი. ოქიოელ საკვებმომპოვებლებს გადაწყვეტილი აქვთ კიდევ დაამზადონ ექვსას ტონამდე სენაჟი.

საკვებმომპოვებლებს შაბათობებზე მხარს უჭერენ ბევრნი. საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მშრომელები, ისინი ბალახს ისეთ ადგილებშიც თიბავენ, სადაც ტექნიკა ვერ ჩავა.

„არ დავტოვოთ გუთიბავი არც ერთი ბოჯი მიწა. შეიტანეთ პირუტყვის ყუათიანი საკვების უხვი მარაგი“ — ასეთია ახმეტელ მშრომელთა დევიზი.

რ. მუხიგულაშვილი.

სურათზე: სახნავაე მანის აღება ახმეტის რაიონის ოქიოს მეკვლახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ვ. ცხაკაშვილის ფოტო.

ნახევარი წლის გეგმა გაანაღლდა

გარდაბანი. (საკ. კორ.). რესპუბლიკის მეგოსტნეობის წამყვანმა რაიონმა — გარდაბანმა ხუთ თვეში წარმატებით გაანაღდა ბოსტნეული კულტურების წარმოებისა და დამზადების ნახევარი წლის დავალებები.

დედაქალაქისა და რუსთავის მშრომელეგი რეგულარულად და შეუფერხებლად იღებდნენ ახალ ისპანახს, კომბოსტოს, ოხრახუშს, ქინძს, კამას, ნედლ ხახვს, ნიორსა და სხვა მწვანილს.

გადაჭარბებით შესრულდა კომბოსტოს წარმოების დავალება. გათვალისწინებული 3.500 ტონის ნაცვლად ივნისის დამდეგისათვის მოყვანილია 6.600 ტონა კომბოსტო. განსაკუთრებით ისაბელეს თავი გარდაბნის, კრწანისისა და რუსიბოლოს საბჭოთა მეურნეობებმა, სადაც დირექტორებად არიან მ. ჰასანოვი, ი. ხარძინი და რ. ქაჯაია. უხვი მოსავლის ოსტატმა ბრიგადირებმა მ. ჰასანოვმა (გარდაბნის მეურნეობა) და ჭ. ვალიევმა (რუსიბოლოს მეურნეობა) ჰექტარზე 200-250 ცენტნერი კომბოსტო მიიღეს.

ივნისის მესამე დეკადიდან შეიტანა ღია გრუნტის ახალი პამიდორი და მოსავლის პირველი პარტია გაუგზავნეთ თბილისისა და რუსთავის მაღაზიებს.

ახლა საადრეო კომბოსტოს გარდაბნელები უგზავნიან მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, დონეცკისა და იეკევსკის მშრომელებს.

ივლისის ანგარიშში

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელები გულდასმით ეცნობიან და ერთსულოვ

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ერთსულოვანი მოწონება

აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრება

აჭარაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დაიწყო ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რასაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი გააქტიურება მოჰყვა. ეს ნათლად გამოიხატა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებული წარმატებებით. ხუთი თვის განმავლობაში რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 4.117 ათასი მანეთის ზედამეთი სამრეწველო პროდუქცია, შეჩაიებამ მოკრიფეს 23.661 ტონა ნედლეული, რაც 3.913 ტონით აღემატება შარშანდელ შესაბამის პერიოდს. ეს და სხვა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს შრომითმა კოლექტივებმა, რომელთა წარმომადგენლები ამ დღეებში აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებაზე მოვიდნენ.

კრებამ განიხილა საკითხი — „საბჭოთა ავშირის კონსტიტუციის პროექტი და აჭარის ასსრ პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სსკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასთან დაკავშირებით".

მოხსენებელმა — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ და კამათის მონაწილეებმა ალაბარიანმა სსკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის უდიდეს მნიშვნელობასა და ამ პლენუმის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პარტიული ორგანიზაციების კონკრეტული ამოცანებზე.

წინა სამმა საბჭოთა კონსტიტუციამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და მშენებლობაში. ამის ნათელი დადასტურებაა აჭარის ისტორია. აჭარალელი, ჩამორჩენილი მდგომარეობიდან აჭარა გადაიქცა დიდად განვითარებულ რესპუბლიკად. მრეწველობაში შექმნა ისეთი თანამედროვე დარგები, როგორიც არის ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობა. ახლა აჭარის მრეწველობის პროდუქცია საზღვარგარეთის 60-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება.

არსებითად გარდაქმნა კოლმეურნე გლეხის ფსიქოლოგია. მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმიანობისადმი, ეგო დაეუფლა ტექნიკას, ქიმიის მიღწევებს. 1936 წელთან შედარებით აჭარაში ნაის წარმოება გაიზარდა ათჯერ, საშუალო სპეციალური მოსავლიანობა — სამჯერ.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა. დიდად ამაღლდა მათი განათლებისა და კულტურის დონე. თუ 1921 წელს წერა-კითხვა მოსახლეობის მხოლოდ 6,5 პროცენტმა და 1936 წელს — 84 პროცენტმა იცოდა, ახლა მომავალი თაობის აღზრდის საქმის 7 ათასი მასწავლებელი და 292 მეცნიერი მეშაკი ემსახურება. აჭარაში ერთერთი დიდი მონაპოვარია ქალის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა ახალი ამოცანები დაუსახა საბჭოთა ხალხს. კონსტიტუციის პროექტში წინა პლანზეა წამოწეული შრომითი კოლექტივების როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, წარმოების მართვაში.

მაგრამ განა ყველას აქვს შეგნებული თავისი მაღალი მოვალეობა პარტიისა და ქვეყნის წინაშე? აქტივის კრებაზე ითქვა, რომ თავიანთ კონსტიტუციურ მოვალეობას ყველანი პირნათლად არ ასრულებენ. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სახელმწიფო, შრომის, საგარეო დისციპლინის დარღვევის, ვიგრძნების შეუსრულებლობის შემთხვევები. მოწინავე კოლექტივების მხარი ვერ აუბეს აჭარის თეიზრების ფლოტის სამმართველომ, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ხელოს თელალმა. ვიგრძენ არ სრულდება კაპიტალური მშენებლობის დარგში. წლიურს ანგარიან თვეებში კაპიტალდაბანდებათა ათვისებამ მხოლოდ 79 პროცენტი შეადგინა.

ჯერ კიდევ ბევრია ისეთი თაქტები, როცა ზემდგომ ორგანოებს დიდი დრო ეხარჯებათ იმ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, რომლებიც ადგილობრივი არჩეული ორგანოების გულგრილობის ბრალია. აქტივის კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ შემდგომ მეშაობაში წესად დამკვიდრდეს ის ამხანაგების ინფორმაციების მოსმენა, რომლებიც წინა პლენუმებსა და აქტივის კრებებზე გაკრიტიკეს.

მოხსენებელმა და ყველამ მონაწილეებმა განსაკუთრებით გამახვილეს ყურადღება იმ ღონისძიებებზე, რომლებიც პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვების დროს. სსკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმმა დასახეს ამ მხრივ მეშაობის მთავარი მიმართულებები.

კრებამ მოსთხოვა პარტიის ბათუმის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს. ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და შემოქმედებითს კავშირებს საჯარო ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მეშაობა გასწიონ საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტის თავისუფალი, თართო და ნამდვილად საქმიანი განხილვისათვის. საამისოდ კრების მონაწილეებმა მიიღეს ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა.

აქტივის კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ახალი კონსტიტუცია განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციაა. ჩვენი ცხოვრების დადი ეტაპია, რომელიც მსოფლიოს ხალხებს მშვიდობის, პროგრესისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ნათელ გზას უჩვენებს. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კონსტიტუციის პროექტის განხილვაში, ყოველ თაქთოდ გამლის სოციალისტურ შეჯიბრებას, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვიდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მრავალათასიანი შრომითი კოლექტივი ამ დღეებში განსაკუთრებული პოლიტიკური აღმავლობით ცხოვრობს. მუშები, მოსამსახურეები უდიდესი ინტერესით ეცნობიან ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის პროექტა, რომელიც მართლაც რომ ხელიდან ხელში გადადის.

ახალი კონსტიტუციის პროექტს განიხილავენ არა მარტო მიტინგებზე, არამედ ჯგუფ-ჯგუფადაც, ინდივიდუალურადაც და შემდეგ გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს, აზრებს, შენიშვნებს. აყენებენ წინადადებებს; მუშები ერთმანეთს უზიარებენ აღფრთოვანების შთაბეჭდილებებს, რასაც ახალი კონსტიტუციის პროექტის გაცნობა იწვევს.

ძირითადი კანონის პროექტს რომ გაეცნენ, ავიამშენებლებმა ძალიერ გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები. მოგვყავს მათი გამოსათქვამების მოკლე ჩანაწერი.

ი. ხვედელიანი (ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი): ჩვენ, დიმიტროველები, უდიდესი ინტერესით ვადევნებდით თვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მუშაობას, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ".

პლენუმის გადაწყვეტილებები აღგვფრთოვანებს, კონსტიტუციის პროექტი შთაგვგონებს, რომ ახალი შრომითი წარმატებები მოგიპოვოთ ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლისთავისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენ ბევრი პატრიოტული თაოსნობის კოლექტიური ავტორები ვართ. სწორედ ჩვენ დავიწყეთ შეჯიბრება დეკემბერ: „საწარმოს ყოველ რაოს — წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა!". ამ წამოწყებას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ დღეებში კი ჩვენთან ჩადიან ახალი მასობრივი მოძრაობა, რომლის დევიზი: „ჩემი ქარხანა ჩემი სამამაცო". ამ დევიზის განხორციელებით დიმიტროველები თავიანთ წვლილს შეიტანენ იმ ეკონომიურ-ბალანსურ საქმეში, რომლის მიზანია გადაეჭიოთ თბილისის კომუნისტური შრომის, მაღალი კულტურის ქალაქად.

ლ. ხვანიძე (საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი): კონსტიტუციის პროექტს რომ გაეცანი, ყველი ხალისით ამეკვლო იმის გამო, რომ მეც საბჭოთა მოქალაქე ვარ. კონსტიტუციი ჩვენ გვანიჭებს ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, ამათგან დავასახელებ ზოგიერთს. ჩვენ გვაქვს გარანტირებული შრომის უფლება, დასვენების უფლება, რასაც უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა 41-საათიანი სამუშაო კვირა, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, რაც უზრუნველყოფილია უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით, სიბერეში და ავადმყოფობის დროს მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, რომელიც გარანტირებულია ომბლექსური სოციალური დაზღვევით, დიახ, ახალი კონსტიტუციის პროექტი ჩვენ გვრაზმავს შემდგომი ნაყოფიერი მეშაობისა და სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის.

ვ. ასათიანი (ამწყობი ზეინაკალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი): ახალი კონსტიტუციის პროექტი, აჯამებს ოთხი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს.

ახლა ჩვენში აშენებულია განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება, შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. როგორ არ უნდა გვიხაროდეს, რომ ჩვენი საბჭოთა კონსტიტუციაა გვაძლევს შრომის უფლებას, დასვენების უფლებას, ბინის უფლებას, განათლების უფლებას, კულტურის ძეგლებით სარგებლობის უფლებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლებას.

ასეთი ზრუნვის პასუხად უნდა ვზრდიდეთ პირად პასუხისმგებლობას და ვზრდიდეთ კიდეც. ჩვენი უფლებანი და მოვალეობანი ერთიანია.

გ. სილამონიძე (ავტოკავშირის კომიტეტის მდივანი): „კონსტიტუციის პროექტს ახალი მომენტი შეაქვს საარჩევნო სისტემაში. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა საბჭოთა მოქალაქე 18 წლის ასაკიდან. (მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, შესაბამისად ირჩევდნენ 23-21 წლის ასაკიდან).

ეს იმის რეალური გამოხატულებაა, რომ ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტია, ჩვენი საზოგადოება ენდობა ახალგაზრდობას და ზრუნავს მისთვის.

ამ ზრუნვის პასუხად ჩვენი ქარხნის ახალგაზრდობა, კომკავშირი ახალი შემართებით იბრძოლებს ხუთწლეულის დავალებათა შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის ფონზე ჩვენ ვიხსენებთ ლენინურ ანდერძს: „ეს ბრძოლა ჯერ ბოლამდე არ მიმდინარეობს. ... ეს ომი ... ეს ომი ... ეს ომი

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲨᲣᲐᲮᲜᲘᲡ კაცმა კაბინეტის კარი ფრთხილად შეაღო. საწერ მაგიდაზე განცხადება დადო და უფროსს თვალი თვალში გაუყარა.

— კულტსახლში არ იქნები?— ფიქრობს უფროსმა და სკამზე მიუთითა, დაბრძანდიო.

— არ ვიქნები, სამუშაოდ მიკლია კოლმეურნეობაში; მოსავლის ასაღებად, კომბაინზე...

— მერე და შენ რა, კომბაინერი ხარ? ოცი წელი ერთად ვმუშაობთ და ჯერ არ გამიგონია, რომ...

— კომბაინერი არა ვარ, მაგრამ ზოგი რამ ვიცი, ზოგსაც ვისწავლი, მგონი არ გამიჭირდება.

— მოდი, იცი რა, შოთა, ყველამ თავის საქმეს მიხედოს. სოფლის კულტურის სახლს კოტა საშუშათ როდი აქვს, მთ უმეტეს ახლა, მოსავლის აღებაა.

— ეგ მე მგონიგალასწინე, გეგმის მიხედვით ყველას თავისი საქმე მიეუჩინე — იცით: ვინ საველე გზებიდ უნდა გამოუშვას, ვინ ჟურნალ-გაზეთებიდ მიიტანოს კალოზე, ვინ საუბარი და ვინ სალამაზოსლაკრი გამართოს. ყველას როგორ ჩამოვთვალო. მთავარი კი, პატივცემულო თენგიზ, ის არის, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სიტყვა მეეცი, არ მინდა პირი შეეირცხვინო, მექანიზატორები ოჭირთ, საქმე კი ბევრია. ერთ თვეს როგორმე გავიჭირვებ, კომბაინზეც ვიმუშავებ, თან საქმესაც მოვხედავ, უფრო კარგად მოვხედავ, დღედაღამ მინდვრად ვიქნები.

ეს დიალოგი წითელწყაროს რაიონის კულტურის განყოფილებაში გაიმართა. ჯაფარიძის სასოფლო კულტურის სახლის გამგემ შოთა ხატროშვილმა როგორც ოყო, დაითანხმა კულტურის განყოფილების გამგე თენგიზ იაკობაშვილი და იმავე დღეს მინდორს მიაშურა.

პერეულის მოსავლის აღებაში თავის გამოჩენა ყოველთვის იყო და არის შრომითი გმირობის მწვერვალი. ამიტომ გასაგებია შ. ხატროშვილის გადწყვეტილება. ბოდა, როცა სოფელში ითქვა, „ეშუდზე კაციო", შოთამაც გრილი ჩრდილი და მყუდროება დათმო, ღამის მეხრესავით ფარაჯა მზარზე გადაიგდო და მინდორს მიაშურა.

შაქი ავირაზე მეტია არ წყდება იმ კომბაინის ჯეგუნი, რომელსაც შოთა მეშტურეულად მუშაობს — მიღლარზე, ქერის აღებაზე.

— ყანა ნაწოლილია, ძალზე გვეჭირს მუშაობა, — შემოგვიჩივლა ახალბედა მექანიზატორმა და თან იმედიანად დაიყოლა, ქერს მალე მოვრჩებით, შირაკში გადაინაცვლებთ, ისეთი პურის ყანები გვაქვს, ზედ ალერკვა გაგორდება.

კომბაინის ექიმეტით, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი ომან სულაშვილი და შოთა ნატროშვილი მართავენ, ოთხ დღეში 35 ჰექტარზე აიღეს ქერის მოსავალი, საშუალოდ ჰექტარზე 26 ცენტნერი მარცვალი გალეწეს.

კაცი სიტყვის პატრონი უნდა ყოს. შოთა არც კულტურის სახლს აკლებს ყურადღებას, ანდა როგორ, მხატვრული თვითმოქმედება, კონკერტი, სცენა, როლი, ეს ხომ მისი სასწლხორცეული საქმეა. ათი თვითმოქმედი წრე მუშაობს კულტურის სახლში. მარტო წელს ერქვა გასალითი კონკერტი გამართეს ფერმებში, ბრიგადებში, მეზობელი სოფლების კლუბებსა და კულტურის სახლებში: შოთა მარტო დრამატიული წრის ხელმძღვანელი კი არა, მისი უშუალო მონაწილე და ბევრი სახასიათო როლის კარგი შემასრულებელია. შარმანდელი მანვნრბლებით, ჯაფარიძის სასოფლო კულტურის სახლი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე გახდა.

მალე კოლმეურნეობაში მთელი ძალით გაჩაღდება პეროეულის მოსავლის აღება. ასეთივე საშური საქმე აქვთ მეცხოველეებს, საკვებმომზადებლებს, მეველეებს. კულტურის სახლი ყველგან ტაყვის თავის სიტყვას. არც მისი თანაკიი შოთა გატეხს პირობას — 300 ჰექტარზე აიღებს პეროეულის მოსავალს, 9000 ტონა მარცვალს გალეწავს.

ბარაქალა შენ და შენი თანამოსაქმეებს მარჯვენას, ომგადახდილო, მკლავმოეიღელო და დაუზარელო ვაჟკაცო!

ᲕᲛ. ᲛᲔᲓᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის" საკ. კორეს-პონდენტი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑ: კომბაინის საპეხთან არის სოფელ ჯაფარიძის კულტახალის გამგე შ. ნატროშვილი.
ბ. ᲑᲠᲔᲣᲜᲘᲜᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲥᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ. ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ?

ᲠᲝᲪᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲥᲝᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲐᲠ ᲘᲥᲣᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐ უკვე სადავო აღარ არის, რომ მრავალწლიანი სარწყავი კულტურული საძოვრის ყოველი ჰექტარი იმდენივე მოსავალს ძალავა, რამდენსაც 3-5 ჰექტარი ჩვეულებრივი საკვები კულტურების ნათესი. მგონამ, თქვენ წარმოიდგინეთ, თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოსა და ვარდისუბნის კოლმეურნეობაში ამაზე მაინც დავობენ. დავობენ კი არა, ორი წელია ვარდისუბნის კოლმეურნეობის კულტურულ საძოვარზე ბალახის მაგიერ სხვადასხვა მარცვლეულ კულტურას თესავენ.

კაცმა რომ თქვას, კოლმეურნეობა თავის სახნავში თუ მარცვლეულს თესავს, რა არის ამაში დასაძრახი. მაგრამ აქ საქმე წყალში გადაყრილ ფულს ეხება. ვარდისუბნის კოლმეურნეობამ 50 ჰექტარზე მრავალწლიანი სარწყავი კულტურული საძოვრის მოწყობას 28.000 მანეთზე მეტი სახელმწიფო თანხა მოხმარდა. საძოვარი კი არც ერთ წელიწადს დანიშნულების მიხედვით არ გამოუყენებიათ. უყურადღებობის შედეგად საძოვრის ღობე გაპარტახებულია. მწყობრიდან გამოსულის საშიშროება მოელის 16.240 მანეთის ღირებულების დაწვიმებით სარწყავ ავრეგატს, რომელიც ჯერ არ გამოუყენებიათ და არც არავის აქვს მიბნელი. საერთოდ, წესრიგია დასამყარებელი სხვა კულტურულ საძოვრებზეც.

მაგალითად, ფშავლის კოლმეურნეობაში 100 ჰექტარზე მოწყობილ კულტურულ საძოვარს ბირთვადად სათიბად იყენებენ, რაც ამცირებს ძოვებისგან მოსალოდნელ ეკონომიურ ეფექტს. კულტურული საძოვრის ექსპლოატაციის წესებს არც კონდოლში იცავენ. აქ, პირიქით, პირუტყვის ნაკეთმორიგობით ძოვება არ არის დაცული. კონდოლის კულტურული საძოვრის მოწყობა ჯერ დაუმთავრებელია და საძოვარი უკვე საექსპლოატაციოდ არის გადაცემული (!). დიდი დარღვევები კულტურული საძოვრების მოსავლიანობის აღრიცხვის საქმეში. მაგალითად, ფშავლის კოლმეურნეობამ და ლალისყურის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანებამ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილ წლიურ ანგარიშებში შესაბამისად უჩვენეს, რომ კულტურული საძოვრიდან მიღებულია 600 ცენტნერი და 5.700 ცენტნერი მოსავალი, ფაქტიურად კი ფშაველში მიღებულია 10.000 ცენტნერი, ხოლო ლალისყურში — 11.150 ცენტნერი.

თელავის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში პირუტყვისათვის საკვების დამზადება ხელი ტემპით მიმდინარეობს. ვარდისუბნის და ფშავლის კოლმეურნეობებს, აგრეთვე ლალისყურის საწარმოო გაერთიანებას ივნისის დამდეგისათვის მხოლოდ 5-15 ტონა სენაჟი ჰქონდათ ჩადებული, მაშინ როცა თითოეულ მათგანს 1.000 ტონამდე სენაჟი აქვს დასამზადებელი. ამ მეურნეობებში საკვების დამზადების ყველა რეზერვი არ არის ამოოწურული. მათი პირტიული ორგანიზაციები სუსტ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ სოფლის მშრომელები, მოსწავლე ახალგაზრდობა ფართოდ ჩაებან პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. ლალისყურეი და ვარდისუბნელ კომუნისტებს კრებაზე ივნისის დასაწყისშიც არ ემსჯელათ ამაზე, თუ რა ამოცანები დაუსახეს მათ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ თავიანთ დადგენილებაში „1977 წელს საუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი საკვებით საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მთლიანი უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ".

Თ. ᲙᲐᲡᲐᲠᲐᲫᲔ.
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ᲜᲝᲕᲔᲚᲘᲡᲢᲘ ᲛᲘᲩᲘᲚᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘ — ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). სოფელ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში თავდადებულად შრომობს ნოვატორი მეჩაიე გოგუცა ყვანია, რომელსაც მასზე მიმაგრებულ ნაკვეთიდან ყოველწლიურად 8-10 ტონა ჩაი მოყავს.

ამას წინათ მოწინავე მეჩაიე საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის მეათეკლასელებს შეხვდა და მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორია მეჩაიის შრომა, როგორ არის თვითეული გამრჯე ადამიანი დაფასებული და რომ საშობლოს უფრო მეტი მშრომელი ადამიანი სჭირდება.

ახალგაზრდებმა ყურადღებით მოუსმინეს ვეტერანს და ერთსულოვნად გადაწყვიტეს მთელი კლასი მეურნეობაში სამუშაოდ დარჩეს.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ" № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეექვსე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი ეძღვნება რუბრიკით „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად", სადაც დაბეჭდილია მ. დადიანის სტატია „კოლხეთზე შეტევის წინ". კოლხეთის მიწაზე ჭაობების დაშრობას ეხება აგრეთვე ი. მენთეშაშვილის და მ. ჯიქიას წერილები.

„ოქტომბრის საიუბილეო წელი და ჩვენი ამოცანები" — ამ სათაურით ჟურნალში დაბეჭდილია საქართველოს კპ ვანის რაიკომის პირველი მდივნის ჯ. ახმეტელის წერილი.

რუბრიკით „წერილი პირველი" ჟურნალი ბეჭდავს პროფესორ შ. კერესელიძის წერილს „ჩაის წარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგია და მისი მნიშვნელობა" აგრეთვე გამოქვეყნებულია გ. ცაგურიშვილი, ზ. ლორთქიფანიძის, ლ. დავითუელიანის, ვ. შამათავას, ა. ყურაშვილის, ჯ. ფარცვანიას, ჯ. ნაჭყებიას, ზ. აბაზაძის, ი. ეცაფშვილის, ც. მჭედლიშვილის და სხვათა წერილები და სტატიები.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲪᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘ

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ პროსპექტის პირველი ვარტალის მცხოვრებთა კოლექტიურ განცხადებაში, რომელიც რედაქციამ მიიღო, აღნიშნული იყო, რომ პირველი ვარტალის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მშენებლობის სამინისტროს საუწყებო მაღლიერ შენობის მშენებლობის დროს განადგურდა ვარტალთშორისი პარკის ნარგავები. მცხოვრებნი ითხოვდნენ პარკის აღდგენას და ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობას.

ამასთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეს. რიგვავა რედაქციას ატყობინებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობისას ვარტალთშორისი გამწვანების ტერიტორიის ნაწილი მართლაც დაზიანდა. ახლა აქ მიმდინარეობს არქეოლოგიური საძიებო სამუშაოები.

ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის დაკვეთით ამჟამად უკვე შედგენილია კორპუსებს შორის მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გამწვანების აღდგენას და ბავშვთა გასართობი მოედნებისა და ოუზის მოწყობას. როგორც კი არქეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები დამთავრდება, მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა და აღდგენა-გამწვანება.

რედაქციას ᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ადიგენის რაიონის სოფელ უდის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ არაკანონიერება გამოიჩინა უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის ლიმიტების გაცემაში.

წერილი ზომების მისაღებად გადაგზავნა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიონულ კომიტეტს. როგორც რაიკომის მდივანმა გ. ახმეტელმა რედაქციას აცნობა, შემოწმებით დადგინდა, რომ მართლაც დაირღვა ლიმიტის გაცემის შესახებ არსებული დებულების ზოგიერთი მოთხოვნა.

შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის ბიურომ. სოფელ უდის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. აბულაძეს და პარტიული კომიტეტის მდივანს ა. მაისურაძეს გამოეცხადათ საყვედური ხაალრიცხვო ბარათში შეტანით. საყვედური გამოეცხადა აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებაზე გასაგზავნი კანდიდატურების შესარჩევი რაიონული კომისიის თავმჯდომარეს, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს მ. ჩერქეზიშვილს.

რედაქციას ᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲠ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ შემოვიდა მამხილებელი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ადიგენის რაიონის სოფელ უდის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ არაკანონიერება გამოიჩინა უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის ლიმიტების გაცემაში.

წერილი ზომების მისაღებად გადაგზავნა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიონულ კომიტეტს. როგორც რაიკომის მდივანმა გ. ახმეტელმა რედაქციას აცნობა, შემოწმებით დადგინდა, რომ მართლაც დაირღვა ლიმიტის გაცემის შესახებ არსებული დებულების ზოგიერთი მოთხოვნა.

შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის ბიურომ. სოფელ უდის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. აბულაძეს და პარტიული კომიტეტის მდივანს ა. მაისურაძეს გამოეცხადათ საყვედური ხაალრიცხვო ბარათში შეტანით. საყვედური გამოეცხადა აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებაზე გასაგზავნი კანდიდატურების შესარჩევი რაიონული კომისიის თავმჯდომარეს, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს მ. ჩერქეზიშვილს.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲐᲠᲒᲘ

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲭᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის ფართო საზოგადოებრიობა, ქვეყნის პოლიტიკური და სამეცნიერო წრეები დიდი კმაყოფილებით მოელიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც ოფიციალური ვიზიტით უნდა ჩავიდეს საფრანგეთში. ფრანგებმა იციან, რომ ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრები ყოველთვის სახავენ ხოლმე თანამშრომლობის ახალ ჰორიზონტებს, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყაყვთ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, განაცხადა ფირმა „შამბონ-ინჟენირინგის" პრეზიდენტ-გენერალურმა დირექტორმა ჟან-ლეი შამბონმა.

როგორც საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელი, თქვა ბ.-ლ. შამბონმა, გამოვთქვამ იმედს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ახალი ომაღლესი დონის შეხვედრა შესაძლებლობას მოგცემს კიდევ უფრო განვამტკიცოთ და გავაფართოოთ ჩვენი ქვეყნების საეკონომიკო ურთიერთობა, ჩვენ შეეფუწყოთ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის თანხმობის გაფართოებას საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში, დავამკიცდროთ ქვეყნად დაძაბულობის შენელება და მშვიდობა. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა საქმიანობის სხვადასხვა დარგში მეგობრული და კონსტრუქციული თანამშრომლობის მაგალითია. და ისეთი თანამშრომლობა, როგორც მრავალი წლის პრაქტიკა მოწმობს, შეესაბამება საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესებს, ევროპის კონტინენტის ქვეყნების ინტერესებს, მშვიდობის, კეთილმეზობლობის, საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი საფრანგეთში, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის მოლაპარაკება, უეჭველია, კეთილებურად კიდევ უფრო განამტკიცებს და გააფართოებს ორივე ძმაყვნისათვის ხელსაყრელ მრავალმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, განაცხადა საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ჯგუფის — „კრეზო-ლუარის" გენერალურმა დირექტორმა მიშელ კოლამ.

ამას მოწმობს, კერძოდ, უკანასკნელ წლებში „კრეზო-ლუარის" ჯგუფსა და საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის დამკვიდრებული ურთიერთობის პრაქტიკა. საფრანგეთში ფრიად კმაყოფილი არიან იმით, რომ საბჭოთა სპეციალისტებმა ერთ-ერთი ძირითადი სამრეწველო რაიონის ცენტრში — ქალაქ ისუარში შექმნეს უდიდესი ჰიდროავლიკური წნები. თავის მხრივ, „კრეზო-ლუარის" ჯგუფი სსრ კავშირს აწვდის ნავთობის, ნავთობქიმიური და გაზის მრეწველობისათვის განკუთვნილ სხვადასხვაგვარ მოწყობილობას, ჩვენი აზრით, თქვა ბ. კოლამ, ეს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთხელსაყრელი ლანდშაფტის ბრწყინვალე მაგალითია.

ფრანგი ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენა უწოდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მომავალ უმაღლესი დონის შეხვედრას საფრანგეთის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ივ სალამმა.

ჩვენ, განაცხადა საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის გენერალურმა ადმინისტრატორმა ანდრე ჟირომ, ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ამ დიდი მოვლენის შედეგი გახდება ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების შემდგომი განმტკიცება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲠᲘᲓᲐᲜ

□

ᲨᲔᲣᲨᲐᲠᲓᲔᲡ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐ

● **ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ.** კიდევ 120 პატიმარს შეუშვარდა ამნისტია ეთიოპიის მთავრობამ. როგორც ეთიოპიის ახალი ამბების საგენტო იუწყება, ეს პირები მოტაუუებით ჩააბეს ბანდებში, რომლებიც უოფლმა ფეოდალებმა და სახალხო რევოლუციის მტრებმა შეაკოწიწეს ხარარის პროვინციაში, რათა საბოტაჟისა და დივერსიების გზით ხელი შეეშალათ პროგრესული გარდაქმნებისათვის ქვეყანაში. მაგრამ, აღნიშნავს საგენტო, მათ ხავსებით შეიგნეს თავიანთი დანაშაული და გამოთქვეს სურვილი აქტიურად ჩაებან ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** სამხრეთ ამერიკის შტატებში გრძელდება ზანგთა დისკრიმინაცია. ამას მოწმობს მონაცემები, რომლებიც გამოაქვეყნა ორგანიზაცია „ამომრჩეველთა განათლების" პროგრამამ, რომელსაც შტატ-ბინა აქვს ატლანტაში (ჯორჯიის შტატი). სამხრეთის 11 შტატში იმ ზანგთა რიცხვი, რომლებსაც არჩევითი თანამდებობანი უკავიათ მუნიციპალიტეტებში და შტატების ხელისუფლების ორგანოებში, შეადგენს მხოლოდ 2,6 პროცენტს.

ᲐᲛᲙᲐᲪᲠᲔᲑᲔᲜ ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐᲡ

● **ᲛᲐᲙᲣᲢᲣ.** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი სულ უფრო ამკაცრებენ ცენზურის სისტემას, რომელიც ქვეყანაში მრავალი წელიწადია მოქმედებს. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პუბლიკაციების ეგრეთწოდებულმა დირექტორატმა აკრძალა 2.200 ბეჭდვითი გამოცემა, აკრძალული ლიტერატურის სიაშია მარქსიზმის კლასიკოსთა შრომები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და დასავლეთის პროგრესული მწერლების წიგნები, სოციალისტური ქვეყნების გამოცემანი. ამ წიგნების კითხვისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მცხოვრებლებს დაპატიმრება და დიდი ფულადი ჯარიმები ემუქრებათ.

„ᲕᲐᲠᲐᲪᲘᲢᲘᲡ" ᲓᲚᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

● **ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** დასავლეთ ბერლინის 50 ათასზე მეტმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანოს „ვარაციტის" ტრადიციულ დღესასწაულში. დღესასწაულის პროგრამა შეიცავდა ორკესტრების, საგუნდო და მოცეკვავეთა ანსამბლების, მომღერლების, ცნობილი სპორტსმენების გამოსვლებს.

დამსწრეთ გულთბილად მიესალმა დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე გ. დენელიუსი.

დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს მომძმე პარტიების პრესის, მათ შორის „პრავდის" წარმომადგენლებმა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ პარიზელი მონაწილეობდა ლოტარინგიის მეტალურგებისადმი სოლიდარობის დემონსტრაციაში. დემონსტრანტებმა მხარი დაუჭირეს მეტალურგთა მოთხოვნას ფოლადსამსხმელო მრეწველობის ნაციონალიზაციის, შრომის უფლების უზრუნველყოფის შესახებ.

* * *

სურათზე: დემონსტრანტები პარიზის ქუჩებში.
ᲐᲓᲔ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ფოტო.

ᲚᲣᲘᲡ ᲙᲝᲠᲕᲐᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 13 ივნისი. (საკდესი). დამთავრდა ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის ვიზიტი კუბაში. აქ ყოფნის დროს ლ. კორვალანმა და დელეგაციის წევრებმა, რომელსაც იგი მეთაურობს, ოფიციალური მოლაპარაკება გამართეს კუბის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან, ამბავზაორის ქალაქში, ეწვივნენ, კერძოდ, ქალაქ სანტიაგო-დე-კუბას, რომელიც ცნობილია თავისი რევოლუციური ტრადიციებით.

ლ. კორვალანს გადასცეს ეროვნული ორდენი „პლაია-ხირონი", რომელთაც იგი დაჯილდოვეს 60 წლისთავთან დაკავშირებით. ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა სიტყვა წარმოთქვა პალანგანი საზეიმო მიტინგზე, რომელიც გაიმართა ნიშნად კუბის მშრომელთა სოლიდარობისა ჩილელი ხალხისადმი, რომელიც ბრძოლას ეწევა ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ.

დიდადაკალაქის ხოსე მარტის სახელობის აეროპორტში ლ. კორვალანი, რომელიც ენერსუელაში მიფრინავდა, გაჯილეს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ფიდელ კასტრომ, კუბის სხვა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა.

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 13 ივნისი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი.

ათასობით ვენესუელელმა აღფრთოვანებული შეხვედრა გაუმართა ჩილელი კომუნისტებიი ხელმძღვანელსა და მის თანმხლებ პირებს. ისინი დიდადაკალაქის „სიმონ ბოლივარის" აეროპორტში შეიკრებნენ პლაკატებით და ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილი იყო ჩილეს ხალხის გმირული ბრძოლისადმი სოლიდარობისა და ფაშისტური ხუნტის თვითნებობის დაგმობის ლოზუნგები.

ჩვენ ვენესუელაში ჩამოვედით, განუცხადა ლ. კორვალანმა ჟურნალისტებს, რათა პინოჩეტის რეჟიმის ტუსალთა, ყველა ჩილელი პატრიოტის სახელით მადლობა ვიძღვნათ ამ ქვეყნის ხალხსა და მთავრობას ჩვენი სამართლიანი საქმის მხარდაჭერისათვის.

ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒᲝᲑᲔᲑᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲮᲚᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 ივნისი. (საკდესი). ერთა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების აქ მიმდინარე კონფერენციის მონაწილენი იხილავენ დღის წესრიგის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს — ინდუსტრიული დასავლეთისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობის საკითხს. თანამეგობრობის გენერალურმა მდივანმა შრიდათ რამფალმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა არსებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისადმი განთავისუფლებულ სახელმწიფოთა ამაწყრობისდადი „უნდობლობის ეკრმფსი კრიზისის" შესახებ. შეუძლებელია დიდ შეშფოთებას არ იწვევდეს ისეთი მდგომარეობა, როცა ასობით მილიონი ადამიანი არა თუ სიღატაკეში ცხოვრობს, არამედ ლამისაა შიმშილით დაეხოცოს, აღნიშნა მან. ილაპარაკარა იმაზე, რომ კვლავ უთანასწორობაა დასავლეთისა და განვითარებადი ქვეყნებს ეკონომიკურ ურთიერთობაში, პრეზიდენტმა ზიაურ რაჰმანმა ხაზი გაუსვა, რომ არ არის მიღწეული პროგრესი ახალი ეკონომიკური წესის დამყარებაში, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა თანასწორობის პრინციპები. ჩვენი ამედები „ჩრდილოეთ-სამხრეთის" დიალოგზე, შეიძინა ეს, ამ ეტაპზე ჩაიშალა. ეს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს ეტაპი, ალბათ, ბოლოს

ბამის ნორჩი მოქალაქენი

საუკუნის მშენებლობაზე — ბამზე კვლავინდებურად ჩქეფს სიცოცხლე. მის ერთ-ერთ უბანზე დება ნია-გრუზინსკაიაში ძალუმად იგრძნობა შრომის პეროიკა. ოდნად ერთია, დაბაში კარგახანია აღარ ისმის მ-წლიანი სკოლის ზარის წკრიალი. დროებით მოიცვა სიმყუდროვემ სკოლის შენობა. მოსწავლეების შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრება ახლა სკოლის გარეთ გრძელდება. ბამის ახალგაზრდა მოქალაქენი ისვენებენ. ზოგი სპიათ წავა და ზოგი სპიათ. ზოგიც ნია-გრუზინსკაიაში დარჩება, მშობლებთან ერთად სხვადასხვა სამუშაოს შეასრულებს. მოსწავლეები ხალისით გაატარებენ ზაფხულის არდადეგებს, შინაარსიანი იქნება „შრომითი მეხუთე მეოთხედი".

სურათზე: ეს ყმაწვილები ზაფხულს არდადეგებზე ნია-გრუზინსკაიაში რჩებიან. წინ შთამბეჭდილებებით ალსავსე ბევრი საინტერესო, ხალისიანი და წარმტაცი დღე ელოდებათ. მარცხნიდან — ბიჭვინთელი იგორ ოპარინი, თბილისელი ვანო გურგენიძე, ალვანელი რაფიელ თხელიძე და ზუგდიდელი ფატიმა სორდია.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

ჩვენი ცხოვრება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ნაელი თბილისის საბავშვო-ახალგაზრდული თეატრი სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის საბიბლიოთეკო და წიგნსაქონელმცოდნეობის განყოფილებებზე. სწავლის ხანგრძლივობა ორი წელი. სწავლება ქართულ ენაზე.

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე მიიღებიან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება.

სასწავლებელი კურსდამთავრებულებს აძლევს მასობრივი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარისა და წიგნსაქონელმცოდნის კვალიფიკაციას.

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება); 2. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

განცხადება შემოტანილი უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე ძემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 3. ამოხაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, რომელშიაც აღინიშნება გამომუშავების დაწესებული მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის, დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ.

4. რაიონის კულტურის განყოფილების მოძართვა (საბიბლიოთეკო განყოფილებაზე); 5. ოთხი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ.); 6. პასპორტი, დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: ა). ზოგადსაგანმანათლებლო სკოლადამთავრებულნი, დაჯილდოებულნი ქების სიგელით (ფურცლით), ოქროს ან ვერცლის მედლით, აგრეთვე ისინი, რომლებმაც საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით დაამთავრეს; ბ). ის პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა;

განცხადებები მიიღება 1977 წლის 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები ჩატარდება 12 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით — საერთო წესით.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში, ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 3 საათიდან 8 საათამდე.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9 ტელეფონი 99-82-10.

თბილისის საესტრადო და საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის საესტრადო და საცირკო განყოფილებებზე შემდეგი სპეციალობებით:

1. ესტრადის ორკესტრის მსახიობი, 2. ესტრადის მოცეკვავე, სიმღერისა-ეტიკეტების ქორეოგრაფი; 3. სალაბორატორო ჟანრის მსახიობი; 4. ესტრადის მომღერალი; 5. ორიგინალური ჟანრის მსახიობი; 6. აკრობატი; 7. ჟონგლიორი; 8. კლოუნი.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, როგორც რვა კლასს, ასევე ათ კლასდამთავრებულები 15-25 წლის ასაკამდე (ვოკალის სპეციალობით 18-დან 25 წლამდე).

საესტრადო განყოფილებაზე — ამბიტიოზენტთა შერჩევა ეწყობა ორ ტურად. ისინიდება მესიკალური სმენა, რიტმი, სცენური მოძრაობა და ფიზიკური მონაცემები.

მეორე ტური — გამოცდა სპეციალობაში, მხატვრული კითხვა (ლექსი, პროზა, იგავ-არაკი) სცენური ეტიუდი, საესტრადო ინსტრუმენტის ელემენტარული ცოდნა, სიმღერა და ცეკვა.

საცირკო განყოფილებაზე — აკრობატიკისა და სპორტული ტანვარჯიშის ელემენტების ცოდნა.

ორივე განყოფილებაზე 8-9 კლასდამთავრებულები სპეციალობის შემდეგ აბარებენ გამოცდას: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-ზეპირი), 10 კლასდამთავრებულები — ქართული წერა და სსრკ ისტორია (ზეპირი).

სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით საერთო წესით.

გახცხადებები მიიღება 1977 წლის 5 ივლისამდე, კონსულტაციები იწარმოებს 1 ივლისიდან 5 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 6 ივლისიდან. სასწავლებელში კონკურსგარეშე ჩარიცხებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები და ღარინი, ვინც 8 კლასი დაამთავრა ქების სიგელით.

სასწავლებელში შეხვლის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი) 8 კლასის ან საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ. 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286; 3. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების მიერ სტაჟის შესახებ; 4. 4 ცალი ფოტოსურათი ზომით 3X4 (უქუდოდ); 5. პასპორტი (დაბადების მოწმობა), სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

შენიშვნა: მუსიკალური განათლების მქონე პირებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, კლარა ცეტკინის ქ. № 200 ტელეფონი: 95-70-82, 95-30-69.



ვ. მოიკის სახელობის № 11 სამხატვრო საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1977-78 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საშუალო პროფტექნიკურ ჯგუფებში: 1. ფერმწერი (ფაფფურ-ფაიანსის ნაწარმის) — სამწლიანი სწავლების ვადით; 2. არქიტექტურული დეტალების მძერწავ-მემოდელე სამწლიანი სწავლების ვადით; 3. მეყალიბე (ხელით დაყალიბება) სამწლიანი სწავლების ვადით; 4. მღებავი (საალფრეინო ფერწერული სამუშაოები) (რუსული სექტორი) სამწლიანი სწავლების ვადით.

ტექნიკურ ჯგუფებში: 1. ხეზე მჭრელი (მხატვრული ჭრა) ორწლიანი სწავლებით; 2. მღებავი (საალფრეინო — ფერწერული სამუშაოები) ორწლიანი სწავლების ვადით.

საშუალო პროფტექნიკურ ჯგუფებში მიიღებიან ვაჟები და გოგონები, ოომელთაც დამთავრებული აქვთ ძმდინარე 1977 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 8 კლასი, ჩაიარეხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან კვებით და ჩაცმით.

ტექნიკურ ჯგუფებში მიიღებიან ვაჟები და გოგონები, რომელთაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 10 კლასი (მათ შორის ვაჟები, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულები) 17 დან-25 წლის ასაკამდე, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით დადგენილი წესის შესაბამისად.

მსურველებმა საშუალო პროფტექნიკურ ჯგუფებში უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება სპეციალობის ჩვენებით (დირექტორის სახელზე); 2. განათლების მოწმობა (დედანი); 3. დაბადების მოწმობა (დედანი); 4. ავტობიოგრაფია; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. ოთხი ცალი ფოტოსურათი (3X4 სანტ); 7. სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების საბუთი; 8. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286); 9. დახასიათება და პირადი საქმე სკოლიდან.

მსურველებმა ტექნიკურ ჯგუფებში დამატებით უნდა წარმოადგინონ პასპორტი, სამხედრო ბილეთი და დახასიათება სამუშაო ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები ხატვასა და კომპოზიციაში და მოსწავლეთა ჩარიცხვა სასწავლებელში იწარმოებს 1 დან 15 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე დილის 9 საათიდან დღის 5 საათამდე (კვირა დღის გარდა).

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ჭონქაძის ქ. № 21 ტელეფონი 99-09-07.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

შეხვედრა რუსთავის მუზეუმში

ჩვენს ქალაქში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან. ასეთი შეხვედრები ქალაქის ახალგაზრდობას საშუალებას აძლევს უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაეცნოს საბჭოთა ქვეყნის მშენებელ თაობათა საქმიანობას, გმირულ შრომას და მათს მდიდარ შრომათს შემკვიდრეობას.

ამჯერად ასეთი შეხვედრა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა, მოაწყვეს რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანანშრომლებმა. მათ მოიწვიეს პირველი და მეორე ხუთწლედების აქტიური მშენებლები, შრომის ვეტერანები, რომლებიც პირველი ხუთწლედების მანძილზე ცხოვრობდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო 1944 წლიდან თავიანთი ბედი სოციალისტურ ქალაქ რუსთავს დაუკავშირეს.

თავის მოხსენებაში მუზეუმის დირექტორი ლ. ბასიაშვილი დამსწრეთ ესაუბრა პირველი ხუთწლედების მშენებელთა თავდადებულ საქმიანობაზე.

შეხვედრაზე დამსწრეთ საინტერესო მოგონებები გაუზიარეს მეტალურგიული ქარხნის უხუცესმა მექანიკოსმა ი. კოჭლამაზაშვილმა, პენსიონერებმა ჯ. ქირიამ, ტ. ერმიანმა, დ. ტაბილოვმა.

შრომის ვეტერანებს მიესალმა სახელოვანი მეფოლადე ვ. მეტრეველი.

ნ. ხიზანიშვილი.

□

„საუნჯე" № 2

მსოფლიო ლიტერატურის ორთეიური ალმანახის „საუნჯის" წლეულდელ მე-2 ნომერში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, ჩვეხი მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღებას მიიპყრობს ჰომეროსის „ილიადას" (გაგრძელება ძველბერძნულიდან თარგმნა რ. მიმინოშვილმა), ფრანსუა რაბლეს რომანის „გარგანტუა და პანტაგრუელის" პირველი წიგნის (მთარგმნელი გ. გოგიაშვილი) და რასულ გამზათოვის „ხმა დაღესტანის" (თარგმნეს თ. ჩიჯავაძემ და შ. ნიშნიანიძემ) მეორე წიგნის ქართული თარგმანები.

ამავე ნომერში მკითხველი გაეცნობა იური ნაგიბინის მოთხრობას „სულის მოთქმას" (დასაწყისი. თარგმნა ს. დემურხანაშვილმა), შუა საუკუნეების ესპანეთში მოღვაწე ებრაელი პოეტების ლექსებს (ძველებრაულიდან თარგმნა ჯ. აჯიაშვილმა), ჰ. კვესელავას სტატიას „ინტეგრალური პოეზიის ფილოსოფიური საკითხები" და უცხოური იუმორის ნიმუშებს, რომლებიც შეკრიბა და თარგმნა შ. ამირანაშვილმა.

ავიანდი

გუშინ 13 საათზე თითქმის ყველგან წმრალი ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 22-25, მთებში 20-24 გრადუსი აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 28 გრადუსი თბილისში იყო. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 24-27, მთებში 18-23 გრადუსი აღინიშნა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 25-30, მთებში 22-27 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში იქროლებს წაბში 10-15 მეტრი სიჩქარის დასავლეთის ქარი, დაბლობ რაიონებში 28-33, მთებში 20-25 გრადუსი იქნება.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ჩრდილოდასავლეთის ქარი, ტემპერატურა 31-33 გრადუსი.

ჩვენი იუბილიანები

შეკითხვა: მაქვს თუ არა უფლება, გავტარდე ქორწინების რეგისტრაციაში ხელმეორედ, განქორწინების გარეშე, თუ კი ჩემი ყოფილი მეუღლე ჩემამდე ქორწინებაში იყო სხვა პირთან, განქორწინება კი არ ჰქონია?

ნ. გოლეთიანი.

(თბილისი).

პასუხი. ქორწინება არ დაიშლება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან. ამრიგად, თქვენი ქორწინება იმ პირთან, რომელიც უკვე დაქორწინებული იყო სხვასთან — ბათილია. ქორწინების ბათილობა კი უნდა დადგინდეს სასამართლოს წესით.

შეკითხვა: შეიძლება თუ არა მამამ მუშად იმუშაოს იმ ხაწარმოში, სადაც მისი შვილი ხაამქროს უფროსია?

დ. ჩიხაშვილი (დუშეთი).

პასუხი: აკრძალულია ერთსა და იმავე საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმ პირთა ერთად ძუშაობა, რომლებიც ერთმანეთთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებიან (მშობლები, მეუღლეები, ძმები, დები, შვილები, აგრეთვე — მეუღლის ძმები, დები, სიმობლები და შვილები), თუ სამსახურეობრივად ერთი უშუალოდ ექვემდებარება ან კონტროლს უწევს მეორეს. ეს კანონი არ ვრცელდება მუშაობა და უმცროს მოსამსახურე პერსონალზე. ამიტომ საწარმოში, სადაც შვილი ძუშაობს საამქროს უფროსად, შეიძლება მუშად მუშაობდეს მამა.

შეკითხვა: შემიძლია, თუ არა, გავაჩუქო ჩემს მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლის ნაწილი, რომლის მიშენებისათვის სათანადო ნებართვა არ მაქვს მიღებული?

შ. გაგლოშვილი (თბილისი).

პასუხი: მოქალაქეს, რომელმაც სათანადო ნებართვის გარეშე ან დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ანდა პროექტისაგან ირსებითი გადახვევით, ან ძირითადი სამშენებლო ხარომებისა და წესების უხეში დარღვევით აეშენა საცხოვრებელი სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი, უფლება არა აქვს გაყიდოს, გაიუქმოს ან გააჩიროს იგი. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ასეთი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეული აქნება ამშენებლის ხარჯზე, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ ჩამოერთმევა და ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში. თვითნებურად აშენებული მოქალაქე და მასთან მცხოვრები პირები კი გამოსახლებული იქნებიან.

შეკითხვა: ვმუშაობ შეთავსებით ზეინკლად. მეკუთვნის თუ არა შვებულება ფულადი ანაზღაურებით შეთავსების ადგილიდან?

გ. ქსოვრელი (კასპის რაიონი, სოფ. კავთისხევი).

პასუხი: შეთავსებით მუშაობისას ფასიანი შვებულების მიცემა ან გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის გაცემა არ წარმოებს.

შეკითხვა: ვარ გამომუშავებაზე: აქვს თუ არა უფლება ორგანიზაციას გვამუშაოს შაბათ-კვირას და თუ აქვს, როგორ აგვინაზღაურებს? შეიძლება თუ არა შაბათ-კვირის ნაცვლად სხვა დღეს მოგვცეს დასვენება?

პასუხი: დასვენების დღეს მუშაობა, საქართველოს სსრ ძრომის კანონთა კოდექსის 62 მუხლის თანახმად, აკრძალულია. დასვენების დღეს ცალკეული მუშაობია და მოსაძახურეობა სამეცადოდ გამოიწვევენ ადმინისტრაციის წერილობითი გაფაფრგულეთ, დასვენების დღეს ძუშაობისათვის მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ სამაგიერო დასვენების დღე უახლოეს ორ კვირაში. თუ სამაგიერო დასვენების დღის მიცემა შეუძლებელია, დასვენების დღეს მუშაობა აუნაზღაურდება ორმაგი ოდენობით.

შეკითხვა: შემიძლია თუ არა მოვთხოვო ჩემი ზილი ბინის ფართობი და ოჯახის ქონების ნაწილი, რომ მერე ჩემი კუთვნილი ქონება დავუმტკიცო იმას, ვინც ძე მომავლის?

ბ. კანდელაშვილი (თბილისი).

პასუხი: თქვენ, როგორც ოჯახის სრულწლოვან წევრს, თუ არსებობის დამოუკიდებელი წყარო მოგეკოვეთო, უფლება გაქვთ მოითხოვოთ საცხოვრებელი სადგომის გირავნობის ცალკე ხელშეკრულება ოჯახის თქვენთან ეოთად მცხოვრები სრულწლოვანი წევრების თანხმობით და თქვენ ხვედრი საცხოვრებელი ფართობის შესაბამისად. საერთო ქონებიდან ზილადი საკუთრების ყოველ მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ზილის გამოყოფა. როცა თქვენ დადგენილი წესით გამოგიყოფენ ზილს საეოთო საკუთრების ქონებიდან, უფლება გაქვთ ვაასხვისოთ იგი.

შეკითხვა: სადგურ მეტეხის მორიგეები ვმუშაობთ ოთხ ცვლაში და ჩვენი ნამუშევარი საათები ზოგჯერ აღემატება თვის ნორმა სამუშაო საათების რაოდენობას. ვის მივმართოთ ჩვენი შრომითი დავის გადასაწყვეტად?

ა. კაპიაური, კ. ლდონბრენკო (მეტეხი).

პასუხი: თქვენი შრომითი დავა უნდა განიხილოს შრომითი დავის განმხილველმა კომისიამ ან პროფკავშირის ადგილობრივმა კომიტეტმა. კომისია ვალდებულია შრომითი დავა განიხილოს ხუთ დღეში განცხადების მიღების დღიდან. თუ თქვენ არ დაგაკმაყოფილათ მათ მიერ საკითხის გადაწყვეტამ, შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო სასამართლოს.

აფხაზეთის სტუმარი

სოხუმი, 14 ივნისი. (საკუთარი კორ.). აფხაზეთში დასასვენებლად ამყოფებდა ქალაქ საარბრიუკენი ობერ-ბურგომისტრი ო

. ფოგტენი. მეუღლითურთ, დასავლეთ გერმანიის ეს ქალაქი საქართველოს დედაქალაქ თბილისის დამმობილებული ქალაქია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები ეცნობიან ავტონომიური რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს, დათვალიერეს კურორტები ბიჭვინთა, გაგრა, იყვნენ გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ფეიჯუშში".

ო. ლაფონტენს ესაუბრა აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. საყვარელიძე.

ფეხბურთი

საქართველოს მოსწავლეთა XXIX სპარტაკიადა

ჩოგბურთშიც, ფარიკაობაშიც

გრძელდება საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა დიდი ფორუმის—მოსწავლეთა XXIX რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობები.

„დინამოს" ჩოგბურთის კორტებზე გუნდური გამარჯვება იზეიმეს მასპინძლებმა — თბილისელმა ჩოგბურთელებმა, რომლებმაც ფინალში გარდაბნელებს სძლიეს (8:0). III ადგილისთვის ქუთაისელებთან ოლიმპრძოლა მოიგეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა (6:5).

თბილისელებმა სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს ფარიკაობაშიც. II და III ადგილები შესაბამისად ხვდათ ქუთაისისა და აფხაზეთის ხაკრებ გუნდებს. პირად მეჯიბრებაში ქუთაისი შორის საპატიო გვარცხლებელს უმადლეს საკუთრზე ავიდნენ თბილისელი ბოიკოველები ხ. ბოჭოიძე (სმალი) და ე. გოქაძე (რაპირა).

წელმი ხტომაში პირველ ჩათვლაში ყველას აჯობეს ი. გეტიაულურგამ, ლ. ცოტაძემ, ა. გალუსტიანმა, ს. ზალიბანდოვმა, ლ. ლონდოძემ და ბ. ნოხოდემ.

თბილისში, „ლენინგრადის" სტადიონზე ,,საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა კიდევ ერთი რესპუბლიკური ასპარეზობა — „ოქროს სტარტების" ფიხალი, რომელიც საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს თანაბრობით პირველად ეწყობა.

თ. გაჩეჩილაძე.

ფეხბურთი

თანაკლუბელთა ფრე

გუშინ მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ორი „დინამოს" — მოსკოვისა და თბილისის — შეხვედრა.

ახალგაზრდობა, რომელსაც ხელიდა რიგელი არბიტრი ა. რუბეხ

ია, დაამთავრა ფრედ — 1:1 (0:0). ბურთები გაიტანეს: 62-ე წუთზე იაკუბიკმა (11-მეტრიანი ხაჯარიმო დარტყმით) და 73-ე წუთზე ყოფიანმა (ეს მისი მეშვიდე ბურთია).

თბილისელთა შემადგენლობა: გოგია, ბიზანაშვილი, კახოელაძე, ხინიაგაშვილი, კოსტავა, გ. მაჩიაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, შეხველია.

წინა დღეს ცსკა-ს სტადიონზე წვიმიან ამინდში გაიმართა ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი. ანგარიშით 2:1 (0:1) გაიმარჯვეს თბილისელებმა. ბურთები გაიტანეს: მოსკოველთაგან — კოლესოვმა, თბილისელთაგან — ბაზაზაშვილმა და ნერეთელმა.

ჭადრაკი

ქვლაპ ვ. სანდეევი

ბრატისლავის „ინტერის" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 23 ქვეყნის ათლეტები გამოდიოდნენ. სამმაგ ხტომაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესი აღმოჩნდა ოლიმპიური ჩემპიონი, თბილისელი ვიქტორ სანდეევი — 16 მეტრი და 39 სანტიმეტრი.

ჭადრაკი

დორტმუნდის მეოთხედფინალური

ბონი, 14 ივნისი. (საკუთარი). გაიმართა ქალაქში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა უკანასკნელი მეოთხედფინალური მატჩის პირველი პარტია. დორტმუნდში, სადაც ლევიტინა და კუშნირი თამაშობენ, პირველი პარტია მოიგო. კუშნირმა.

დორტმუნდის შეჯიბრების გამარჯვებული ნახევარფინალში შეხვდება ფთალიბეკოვს. ნახევარფინალისტთა მეორე წყვილია ახმილოვსკაია-ჩიბურდანიძე.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ფეხბურთი

ბაკურიანი

ბაკურიანი (ბაკურიანის ბალნეოლოგიური კურორტი), 14 ივნისი. (საკუთარი). ბაკურიანში ჩატარებულ ფეხბურთის ტურნირში ,,ბაკურიანი" — „ბალტიკა" (ბალტიისპირეთი) 1:1 (0:1). ბურთები გაიტანეს: ,,ბაკურიანელებმა" — ,,ბალტიკელებმა" — 0:0

ფეხბურთი

,,ბაკურიანი" — ,,ბალტიკა"